საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2017 წლის 2 ივნისის
დადგენილება №2427

სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ფორმის და
სილაბუსების განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ფორმა (დანართი 1);
2. დამტკიცდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განხილვისა და დამტკიცების წესი (დანართი 2);
3. დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ შემუშავდეს ყველა სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) და დამტკიცდეს დადგენილებით განსაზღვრული ფორმითა და წესით;
4. დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით დამტკიცებული სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ფორმა და განხილვისა და დამტკიცების წესი ეხება მხოლოდ დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ დამტკიცებულ სილაბუსებს;
5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (გ. ძიძიგური):
   ა) ერთ თვეში შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის ახალი რედაქციის პროექტი, აგრეთვე, უზრუნველყოს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შედგენისა და შემოწმების რეკომენდაციების მომზადება და მათი განთავსება ვებგვერდზე;
   ბ) ორ თვეში უზრუნველყოს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ფორმის ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი რედაქციების შემუშავება და დასამტკიცებლად წარმოდგენა.
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს ამ დადგენილების, აგრეთვე, სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ფორმის და სილაბუსების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 აპრილის #437 დადგენილება „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ფორმის და სილაბუსების განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ“;
8. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე